საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01- 02/28

ქ. ბათუმი 18 --- თებერვალი, 2021წ.

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოსათვის ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი მაგისტრანტის მიერ წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 ოქტომბრის N06-01/120 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი მაგისტრანტისთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გადავადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/76 დადგენილებისა და ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 08 თებერვლის N75188 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლინგვისტიკისა (მარიკა გობაძე) და ევროპეისტიკის (მარიამ მამულაძე, თინათინ იაკობაძე, საბა კოჩალიძე) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოსათვის შეიქმნას სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვის კომისიები შემდეგი შემადგენლობით:

ა) ევროპეისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე
(ინგლისური ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია)

1. პროფესორი ნინო დვალიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი თეა შავლაძე- კომისიის მდივანი;
3. პროფესორი ირინე გოშხეთელიანი - კომისიის წევრი;
4. პროფესორი ნატალია სურგულაძე - კომისიის წევრი;
5. ასოცირებული პროფესორი ჟუჟუნა გუმბარიძე - კომისიის წევრი;
6. ასოცირებული პროფესორი მარინე სიორიძე - კომისიის წევრი.

ბ) ლინგვისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. პროფესორი მამია ფაღავა - კომისიის თავმჯდომარე;
2. ასოცირებული პროფესორი ასმათ არძენაძე - კომისიის მდივანი;
3. პროფესორი მარინე არაშიძე -კომისიის წევრი;
4. ასოცირებული პროფესორი თემურ ავალიანი - კომისიის წევრი;

5. ასოცირებული პროფესორი ქეთევან სვანიძე - კომისიის წევრი;
6. ასოცირებული პროფესორი ნინო არაშიძე - კომისიის წევრი.

2. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო ნაშრომების საჯარო დაცვა ჩატარდეს 2021 წლის 25 თებერვალს, 12:00სთ-ზე.

3. კომისიამ იხელმძღვანელოს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 25 ოქტომბრის N06-01/120 დადგენილებითა და ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ზოგიერთი მაგისტრანტისთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გადავადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის N06-01/76 დადგენილებით.

4. შესაბამისმა დარგობრივმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს სტუდენტთა ინფორმირება.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფაკულტეტს, ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელსა და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**